ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/14175597-16 15 07 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ, ნაკვეთი №23/071-ზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: – №109 0681 10.02.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ, ნაკვეთი №23/071-ზე (საკ.კოდი №01.13.03.023.071) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

1-5 ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟის და კარების ნახატი (ვიტრაჟებს შორის მოწყობილია ლითონის დარები). "1-3" მონაკვეთში არ არის მოწყობილი საფეხურები. შენობის ძირში მოწყობილია ფილები, რომელიც შეღებილია.

5-1 ფასადზე მოწყობილია თუნუქის დერე და სახურავზე განთავსებულია ბადე.

ა-გ ფასადზე "ბ-გ" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი.

შენობის შიგნით "1-1" და "5-5" ღერძებზე დამატებულია სვეტები.

რენდერის მიხედვით შეცვლილია ვიტრაჟების ჩარჩოების და სახურავის ძირის ფერი. ფასადებზე პროექტში ნაჩვენები სენდვიჩ-პანელის ნაცვლად მოწყობილია გოფრირებული თუნუქი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჯ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. ,,საფებბურთო კლუბი დინამო თბილისი''-ს ქ. თბილისში, მიქელაძის ქუჩაზე, სუპერმარკეტის წინ, ნაკვეთი №23/071-ზე (საკ. კოდი №01.13.03.023.071) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14175597-16 24.06.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**